პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 25 თებერვალი, 1949 წ. № 39 (8342). ფასი 20 კაპ.

დღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVIII წლისთავია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მშრომელებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, თავის გამარჯვებებს უმადლის ლენინ-სტალინის დიად პარტიას, საბჭოთა მთავრობას, დიდ სტალინს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

საბჭოთა საქართველოს დიდი დღესასწაული

დღეს საბჭოთა საქართველოს ოცდარვა წელი შეუსრულდა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელძღვანელობით, ძმამე დიდი რუსი ხალხისა და წითელი არმიის დახმარებით დაამხეს საზიზღარი მენშევიკების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან დაიწყო საქართველოს ნამდვილი აღორძინება, მისი სამეურნეო და კულტურული აყვავება.

ოცდარვა წელი მეტად უმნიშვნელო პერიოდია ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიისათვის, მით უმეტეს ისეთი უდიდესი წარსულის მქონე ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო, რომლის ისტორია ათეულობით საუკუნეს წვდება. რამდენი რამ გაკეთდა, რა წარმატებებს მიაღწია ქართველმა ხალხმა ამ მცირე დროში!

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი ხალხი გაათავისუფლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, მშრომელები იხსნა შიმშილის, სიღატაკისა და აუტანელი გაჭირვებისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა ქართველ ხალხს მთელი შემოქმედებითი ძალების გამოვლინებისა და განვითარების, პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აყვავების ყველა პირობა.

წინათ საქართველოში მრეწველობა თითქმის არ იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი საქართველო ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. სტალინური ხუთწლედების პერიოდში აშენდა ათობით მსხვილი ფაბრიკა, ქარხანა, ჰიდროელადგური. შეიქმნა მანქანათმშენებლობისა და დაზგათმშენებლობის, საფეიქრო და ქიმიური, ნავთის მოპოვებისა და გადამუშავების და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგები. 1940 წელს საქართველოს მრეწველობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 27-ჯერ გაიზარდა, 1948 წელს კი მრეწველობის მთელმა პროდუქციამ ომამდელ 1940 წლის დონეს 29,5 პროცენტით გადააჭარბა და ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელი, 1950 წლისათვის გათვალისწინებული საერთო პროდუქციის მოცულობის 86,9 პროცენტი შეადგინა. რაოდენს მეტყველებენ ეს ციფრები!

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი სახალხო მეურნეობისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის გამოყენება წყლის იაფი ენერგიისა, რომლითაც მდიდარია საქართველო. აგებულ იქნა მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები — ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი, სოხუმჰესი. მალე მწყობრში ჩადგება ჩითახევჰესი და მრავალი სხვა სადგური.

მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყე იქნება რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ქუთაისის სააკუმომბილო ქარხანა, რომლებიც „ამ ხუთწლედში ამოშავდება და „რომელთა მშენებლობის დამთავრების შემდეგ საქართველოს ინდუსტრიის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება თითქმის ერთიორად გადიდდება“. (კ. ჩარკვიანი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენი სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩენილი და უბადრუკი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი მოწინავე, სოციალისტურ სოფლის მეურნეობად იქცა და ნამდვილ აყვავებას მიაღწია. საქართველოში ფართოდ განვითარდა ტექნიკური და ციტრუსოვანი კულტურები. ყოველწლიურად მატულობს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობები და მათი მოსავლიანობა, განსაკუთრებულად იზრდება კოლმეურნეობათა მოსავალი და შემოსავალი. გაჭრა სოფლად სოლტაკე, შიშმილი და სიბნელე. იგი კოლმეურნეთა შეძლებულმა და კულტურულმა ცხოვრებამ შეცვალა. საქართველოს მშრომელი გლეხობა ყოველწლიურად ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს, მოპყავს უხვი მოსავალი. კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებულ ბრძოლაზე მაღალი მოსავლისათვის ნათლად მეტყველებენ მთავრობის ის მაღალი ჯილდოები, რომელთა ღირსნი გახდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. 260 კაცს სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება მიენიჭა, ხოლო ასეულობით ადამიანი ორდენებითა და მედლებით იქნენ დაჯილდოებული.

უდიდესი წარმატებებია მოპოვებული საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე კულტურული მშენებლობის დარგში. საქართველო ახლა ერთ-ერთი ყველაზე კულტურული რესპუბლიკაა მთელ საბჭოთა კავშირში. განვითარდა და აყვავდა მისი მეცნიერება და ტექნიკა, ლიტერატურა და ხელოვნება.

საქართველო დაიფარა დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლებით. ჩვენი სასწავლებლები და ტექნიკუმები ყოველწლიურად ასობით აწვდიან სპეციალისტებს სახალხო მეურნეობას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ლაბორატორიები დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან, წინ სწევენ და ამდიდრებენ საბჭოთა ქვეყნის მეცნიერულ აზრს. ახალ შემოქმედებითი აღმავლობას განიცდის ქართული ლიტერატურა, ხელოვნება და მუსიკა.

საქართველოს მშრომელები, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად დიდი პატრიოტული აღმავლობით იბრძვიან ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად. ხუთწლედის პირველი სამი წლის დავალება როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში გადაჭარბებით შესრულდა. დიდად აძაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, ქალაქების კეთილმოწყობის, საბინაო მშენებლობის საქმეში.

მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ დიდ ამაგს, რომელიც მას დასდო ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ. ამხანაგი ბერია მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მან ამიერკავკასიის ხალხები აღზარდა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით. ამხანაგ ბერიას სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული აყვავება. როცა ფაშისტი ბარბაროსები ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მოადგნენ და აოხრებით ემუქრებოდნენ მათ, ამხანაგი ბერია სათავეში ჩაუდგა კავკასიის დაცვის საქმეს და ბრწყინვალედ განახორციელა კავკასიის მისადგომებთან გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმა.

იზრდება და იფურჩქნება საბჭოთა საქართველო. იგი მზარდი აღმავლობის გზით მიდის და ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამ წარმატებებს როდი სჯერდებიან, თვითკმაყოფილებას როდი ეძლევიან. ისინი დაუღალავად იბრძვიან ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ახლახან ჩატარდა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობა. ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენებასა და ყრილობის დადგენილებაში დასახულია ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა. ყრილობამ მთელი ქართველი ხალხის სახელით დიდი სტალინისადმი გაგზავნილ წერილში უდიდესი ვალდებულებები იკისრა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ ვალდებულებების შესრულება მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციას, დაძაბულ და თავდადებულ მუშაობას სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მეთაურობით წარმატებით შეასრულებენ ამ ვალდებულებებს.

დღეს, საბჭოთა საქართველოს დიდი დღესასწაულის დღეს, როცა თვალს ვავლებთ და ვაკვირდებით საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველი ხალხის მიერ მოპოვებულ უდიდეს ისტორიულ წარმატებებს, უსაზღვრო, აუწერელი სიხარულითა და უჩვეულო სიამაყის გრძნობით გვეცხება გული. საქართველოს მშრომელები მთელ თავიანთ წარმატებებს, თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას უმადლიან საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობასა და ყოველდღიური დახმარების შედეგად აყვავდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურა, საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება და გამარჯვება კაცობრიობის უდიდეს ადამიანს, ხალხთა ბრძენ და საყვარელ ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საბჭოთა არმიის XXXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVIII წლისთავისადმი

23 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა არმიის XXXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVIII წლისთავისადმი.

საღამოს 7 საათი და 30 წუთია. იხდება ფარდა. პრეზიდიუმში სხედან ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, რ. შადური, ვ. ცხოვრებაშვილი, გ. ზაძახიძე, ზ. კეცხოველი, ვ. ბაკრაძე, ს. იმხანოვი, კ. ციმაკურიძე, მ. ლელაშვილი, გენერლები მ. კაზაკოვი, ფ. კოლესნიკოვი, ნ. რუხაძე, გ. კარანაძე, ა. კისელევი, მ. მიქელაძე, ი. ნიმლაძე და შ. წერეთელი, ვ. ეგანატაშვილი, ე. ჩერქეზია, ფ. ქვლევიძე, ა. ჯიშიაშვილი, ი. ზოდელავა, ს. ჩიქოვანი, ა. ვასაძე, ი. ნიკოლაძე, ე. სოხაძე, ნ. ვაჩნაძე, მინისტრები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, პარტიელ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომას ხსნის მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ლელაშვილი.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ა. ჯიშიაშვილს,

— წინადადება შემომაქვს სატპატიო პრეზიდიუმში ავირჩიოთ ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი.

თეატრში გაისმის ტაში, რომელიც მეტხანრე ოვაციად იქცევა. სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მხურვალედ გამოხატავენ თავიანთი საყვარულისა და პატივისცემის ღრმა გრძნობებს ამხანაგ სტალინისადმი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში სატპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხანაგი სტალინი, ამხანაგები მოლოტოვი, ბერია, მალენკოვი, ვოროშილოვი, ანდრეევი, მიკოიანი, კაგანოვიჩი, ხრუშჩოვი, ვოზნესენსკი, შვერნიკი, ბულგანინი და კოსიგინი.

საბჭოთა არმიის XXXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVIII წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილეს პოლიტიკურ ნაწილში გენერალ-მაიორ ამხ. დ. კოლესნიკოვს.

ამხ. კოლესნიკოვი ლაპარაკობს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ განვლილ საბრძოლო გზაზე, მათს ზრდასა და განმტკიცებაზე ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ამხ. კოლესნიკოვი ლაპარაკობს საბჭოთა საქართველოზე, მის შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებითაც ქართველი ხალხი შეეგება საბჭოთა არმიის XXXI წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVIII წლისთავს.

ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა საიმედოდ არის დაცული საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ. ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა ევროვითარი მუქარა ვერ შეაჯერებს საბჭოთა ადამიანების გიგანტურ წინსვლას დასახული მიზნების მისაღწევად, რადგან ჩვენ წინ მიგვიდგის ბრძოლებში ნაცადი ბოლშევიკური პარტია, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი დიდი სტალინი.

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს!

დიდება ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ქართველ ხალხს!

დიდება ხალხთა დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს!

მომხსენებლის ამ სიტყვებს დამსწრენი ხვდებიან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით. ყველანი ფეხზე დგებიან. ამხანაგ სტალინის პატივსაცემად გამართული ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება.

სხდომის მონაწილენი უდიდესი აღფოთოვანებით იღებენ მისალმებას ამხანაგ სტალინისადმი.

* * *

საზეიმო სხდომის შემდეგ დედაქალაქის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით გაიმართა დიდი კონცერტი.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 28-ე წლისთავისადმი, მხურვალე გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, გენიალურ მხედართმთავარს, ხალხთა ბრძენ, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს!

დიდ ლენინთან ერთად თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, შეჰქმენით საბჭოთა არმია ოქტომბრის მოხაპოვრის დასაცავად, მამობრივი საყვარულითა და მზრუნველობით ზრდიდით მას, ამაღლებდით მის პოლიტიკურ შეგნებას და საბრძოლო მზადყოფნას.

ბოლშევიკური პარტიის მიერ გამობრძმედილმა ჩვენმა მამაცმა საბჭოთა არმიამ განვლო ბრძოლის სახელოვანი გზა, მოიპოვა უდიდესი გამარჯვებანი, რომელთა მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

საბჭოთა არმია — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის არმია, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველი არმია—ძალა ის არის, რომ იგი ხელმძღვანელობს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სტალინური სამხედრო მეცნიერებით, რომელსაც თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში.

თქვენს სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა არმიის გადაქცევა პირველხარისხოვან არმიად, რომელმაც მტერს აჯობა თავისი სამხედრო ოსტატობითა და საბრძოლო ტექნიკით.

თქვენს სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა არმიის უდიდესი გამარჯვებანი 1941-1945 წლების სამამულო ომში. თქვენ გენიალური შორსმჭვრეტელობით გამოიცნობდით ხოლმე მტრის გეგმებს, ამარცხებდით, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდით მას. იმ ბრძოლებში, რომლებსაც საბჭოთა არმია ეწეოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, მკაფიოდ არის განსახიერებული თქვენ მიერ უმაგალითო სიმაღლეზე აყვანილი საბჭოთა სამხედრო ოსტატობა — გამარჯვების სტალინური მეცნიერება.

საბჭოთა არმიის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების შეკეგად ჩვენი ქვეყანა ომიდან უფრო განმტკიცებული და ძლიერი გამოვიდა და კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას.

საბჭოთა არმია ასრულებს თქვენს მითითებებს და ფხიზლად იცავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ღრმად სწავლობს დიდი სამამული ომის გამოცდილებას, განუწყვეტელ სრულყოფს თავის ოსტატობას.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და მისი შეიარაღებული ძალების — სახელოვანი საბჭოთა არმიის—ძლიერების განმტკიცება ჩვენი სამშობლოს უშიშროების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა.

იმპერიალიზმის ძალებს, რეაქციის ძალებს, ომის გამჩაინებლებს, რომლებიც ყოველგვარ აგრესიულ ბლოკებს აკოწიწებენ, ჩვენი ქვეყანა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები უპირისპირებენ მშვიდობის პოლიტიკას, მშვიდობიანი შრომისა და ეკონომიური განვითარების პოლიტიკას, რასაც თქვენი გენია აღფოთოვანებს.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ განვლილი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირმა თქვენი ბრძნული წინამძღოლობით მიაღწია მეურნეობისა და კულტურის ახალ შესანიშნავ აღმავლობას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ზრდას. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ისტორიული წინასწარდასახულობანი წარმატებით ხორციელდება და ვადამდე შესრულდება.

ქართველი ხალხი სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალი შესანიშნავი მიღწევებით ხვდება საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 28-ე წლისთავს.

ჩვენი მძლავრი სამშობლოს ხალხთა ძმურ ოჯახში საქართველო გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. იგი დაიფარა მრავალი ახალი სამრეწველო საწარმოთი, უძვირფასესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მინდვრებისა და პლანტაციების ნაირფეროვანი ხალიჩით. უმაგალითო აყვავებას მიაღწია ქართველი ხალხის მეცნიერებამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი სამამულო ომში, ძვირფასი წვლილი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში, გამარჯვების საქმეში და ახლა თავდადებით იბრძვის ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად.

ომისშემდგომი საბჭოთა საქართველო მრავალრიცხოვან ახალშენებლობათა, საექსპლოატაციოდ გადაცემულ ახალ საწარმოთა, სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ახალი შესანიშნავი შემოქმედებითი მიღწევების რესპუბლიკაა.

სახელოვან თარიღებს — საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავს და საბჭოთა საქართველოს 28-ე წლისთავს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ეგებებიან 1949 წლის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფართო გაჩაღებით.

მხნეო, რწმენით, სიხარულით შეჰყურებენ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი, თავიანთ ხელმძღვანელ დღეს, რომელიც გაციცოფებულია კომუნიზმის სრული გამარჯვების შუქით.

საქართველოს მშრომელნი აღფრთოვანებული არიან ერთი სიურპრიზით, ერთი მისწრაფებით — ღირსეულად შეასრულონ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა დავალება და გიპატაკონ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, თავიანთ ახალ გამარჯვებებსა და მიღწევებზე საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, მრავალი წლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს!

დიდება დიდ, ბრძენ ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მამას და მეგობარს, მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

საბჭოთა საქართველო 28 წლისაა

★

ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

★

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშებსა და გლეხებმა, დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერით, სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით, დიდი ლენინისა და სტალინის მიერ აღფრთოვანებულებმა, დაამხეს რეაქციული, ხალხისათვის საძულველი რეჟიმი, დაამყარეს საბჭოების ხელისუფლება საქართველოს მიწა-წყალზე და ამით იხსნეს იგი უცხოელ კაპიტალისტთა მიერ დამონებისაგან.

ქართველ ხალხს მაღლა უჭირავს მუშებისა და გლეხების მიერ 28 წლის წინთ აღმართული წითელი დროშა და საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, ბტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ, თავისი წვლილი შეაქვს საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შენებლობის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ აღორძინა ქართველი ხალხის მძლავრი შემოქმედებითი ძალები და შექმნა ყველა საჭირო პირობა ჩვენი რესპუბლიკის უმდიერესი საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 28 წლის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, უფროსი ძმის რუსი ხალხის მუდმივი დახმარებით თავისი მეურნეობისა და კულტურის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე, მოკლებული საკუთარ მრეწველობას, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობით, როგორიც იყო რევოლუციამდელი საქართველო, სტალინური ხუთწლედების მანძილზე გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთერთ მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად დიდად განვითარებული მრეწველობით და მრავალფროვანი ძვირფასი სოფლის მეურნეობით.

შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები — შავი მეტალურგია, დაზგათმშენებლობა, მსუბეტი, კვების მრეწველობა და სხვა, რომლებიც უშვებენ ისეთ პროდუქციას, რაც რევოლუციამდელ საქართველოში არ მზადდებოდა.

საქართველოს მშრომელნი კანონიერად ამაყობენ თავიანთი ძმის ინდუსტრიით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს არის შექმნილი. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა უკვე 1947 წელს შეადგენდა 48 პროცენტს. მძიმენარე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულია მძიმე ინდუსტრიის, ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, საავტომობილო მშენებლობის, დაზგათმშენებლობის, ჰიდროელექტრომშენებლობის შემდგომი მძლავრი განვითარება.

1949 წელს მივიღებთ ფოლადის პირველ ნადნობს ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, რომლის გაშვებიც რამდენიმე წლის მანძილზე გიზარდა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირმშო—ქალაქი რუსთავი. წარმატებით მიმდინარეობს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, რომელიც წელიწადში 30.000 ავტომობილს გამოუშვებს.

უმაგალითოდ აყვავდა ქართველი ხალხის კულტურა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საქართველო გადაიქცა მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის, მაღალი სოციალისტური კულტურის ქვეყნად.

საერთო განათლების 4.312 სკოლაში სწავლობს 700 ათასზე მეტი ბავშვი და მუშაობს 39 ათასამდე პედაგოგი.

საქართველოში არის 20 უმაღლესი სასწავლებელი, რომელებშიც ამჟამად 25 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

1934 წლის შემდეგ რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 45 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი. 8 წლის წინთ შექმნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ითვლის 40 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, რომლებშიც მუშაობს 846 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის მეცნიერებათა 116 დოქტორი და 422 კანდიდატი. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ამჟამად მოქმედებს 404 თეატრი და კინო-თეატრი, ნაცვლად 1921 წლის 55-ისა, და 1802 კლუბი და ქოხ-სამკითხველო, ნაცვლად 57-ისა.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, რომელშიც ასეულ ათასობით ქართველი, ყველა მოძმე ხალხის შვილებთან ერთად, საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა ფრონტებზე და თავდადებით იცავდა საბჭოთა სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას, საქართველოს მშრომელნი დაუყოვნებლივ ჩაებნენ დიდ შემოქმედებითს მუშაობაში ომის შედეგების სალიკვიდაციოდ და ახალი სტალინური ხუთწლედის განსახორციელებლად.

რესპუბლიკის მრეწველობის ომისშემდგომი გარდაქმნა დამთავრდა 1946 წელს, ხოლო 1947 წელს უკვე მიღწეულ და გადაჭარბებულ იქნა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე.

მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1948 წელს 29,5 პროცენტით გადაჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს. მთლიანად ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა საერთო პროდუქციის დარგში საქართველოს მრეწველობამ 112,2 პროცენტით შეასრულა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს 1948 სამეურნეო წელი. 1940 წელთან შედარებით 1948 წელს მოპოებულია ერთიერად მეტი ქვანახშირი, ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 62 პროცენტით, მასობრივი მოხმარების საქონელი გამოშვებულია 67,6 პროცენტით მეტი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა გეგმები მრეწველობის ყველა დარგმა.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე საგსებით გარდაიქმნა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. ჩვენი სოფლის მეურნეობის შესანიშნავი წარმატებებით ამაყობს არა მარტო კოლმეურნე გლეხობა, არამედ მთელი ქართველი ხალხი. ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო, შაქრის ჭარხალი, ბამბა, მაღალხარისხოვანი ხილი, ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, ტუნგო, ყურძენი — ასეთია საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ორასრული ნუსხა.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ღირსეულად შეასრულეს დიდი სტალინისადმი მიცემული სიტყვა, რომ 1948 წელს უხვ მოსავალს მოიყვანდნენ.

გასულ წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აიღეს და სახელმწიფოს ჩაბარეს: 46.600 ტონა ძირითადი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.200 ტონისა, 695,5 მილიონზე მეტი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 580 მილიონი ცალისა, 43.200 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35.700 ტონისა, 15 ათასზე მეტი ტონა თამბაქოს ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.000 ტონისა, 16.591 ტონა ახალი ხილი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დამზადების გეგმები.

წლითიწლობით იზრდება საქართველოს კოლმეურნეთა კეთილდღეობა. 1948 წელს რესპუბლიკის 258 კოლმეურნეობამ მიიღო ერთ მილიონ მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი მაშინ, როდესაც 1940 წელს ჩვენში იყო 48 მილიონერი კოლმეურნეობა.

კოლმეურნეები გამომუშავებულ შრომადღეებზე იღებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ფულად შემოსავალს უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით, რის შედეგადაც განუტრელად იზრდება მათი მატერიალური კეთილდღეობა. უკანასკნელი წლების მანძილზე კოლმეურნეებმა აიშენეს და ახლაც იშენებენ ორ, სამ და მეტ ოთახიან სახლებს, აწყობენ მათ ლამაზი ავეჯით, კეთილმოწყობილს ხდიან თავიანთ საკარიდამო ნაკვეთებს.

საქართველოს კოლმეურნეობებმა ფართოდ გააჩაღეს საკოლმეურნეო ქოხ-სამკითხველოების და კლუბების, წყალსადენებისა და აბანოების, სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების შენებლობა. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან სოფლების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის, რის შედეგადაც ჩვენი სოფელი უფრო ლამაზი ხდება.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გამოჩენილი გმირობისათვის და ომისშემდგომ პერიოდში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში თავდადებული შრომისათვის საქართველოში მიენიჭათ: საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 120 კაცს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება 267 კაცს. ათეულ ათასობით ქართველმა ჯარისკაცმა, ოფიცერმა, კოლმეურნემ, მუშამ და გონებრივი შრომის მუშაკმა მიიღო მთავრობის ჯილდოები.

ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას იგი უნდა უმადლოდეს საბჭოთა ხელისუფლებას, ლენინ-სტალინის სახელოვან პარტიას, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეეგება ქართველი ხალხი თავის სახელოვან ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 28-ე წლისთავს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV კონგრესი, რომელიც 1949 წლის იანვარში შედგა, დიდი მოვლენა იყო არა მარტო პარტიული ორგანიზაციების, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის ცხოვრებაში.

კონგრესმა კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს და მთელ ქართველ ხალხს დაუსახა დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანები ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი, უფრო მძლავრი აღმაღლების დარგში, კულტურული აყვავებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის დარგში.

უახლოეს 8—10 წელიწადში ჩაის პლანტაციების ფართობი აყვანილ იქნება 70.000 ჰექტარამდე, ხოლო ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავალი—193.000 ტონამდე, ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი — 40.000 ჰექტარამდე, ვენახებისა — 75.000 ჰექტარამდე.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა საპატიო საქმეა შეასრულონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV კონგრესის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს 8—10 წლის მანძილზე გაადიდონ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 30—40 პროცენტით და ამით გაზარდონ პურის დამზადება სულ ცოტა ერთისამად, 1948 წლთან შედარებთ. ამ და სხვა სასოფლო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტას ხელს შეუწყობს წყალთა მეურნეობის დიდი სამუშაოები, რომლებიც ტარდება ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობისა და არსებული სისტემების რეკონსტრუქციისათვის. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სამგორის სარწყავი სისტემა, რომლის მშენებლობა მეოთხე ხუთწლედში დაიწყო. სამგორის სარწყავი სისტემის წყლის მიმწოდებელ არხზე შენდება სამი ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც წელიწადში 150 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. არხის ბოლოში, ქალაქ თბილისიდან რამდენიმე კილომეტრზე შეიქმნება დიდი წყალსაცავი, რომელიც ხელს შეუწყობს გამწვანების სამუშაოთა ფართოდ გაჩაღებას თბილისში და მის გარშემო.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა ეროვნულ-ეროვნული ... ...

ᲡᲐᲥᲗᲘᲐᲕᲝᲡ ᲡᲮᲚᲝᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ქ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ 1949 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 81-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ-ᲗᲐ ᲔᲚᲘᲢᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ 28-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ. პრეზიდიუმში (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ვ. ეგნატაშვილი, ᲛᲘ. ᲯᲐᲜᲘ, ხ. ᲝᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ, გ. კარანაძე, ა. თოფურიძე, ვ. გოგუა, ᲛᲘ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲐ, რ. ᲗᲐᲚᲓᲣᲠᲘ, გენერალ-პოლკოვნიკი კაზაკოვი, Შ. ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ, Შ. ᲩᲘᲥᲣᲜᲐ-ᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კ. ᲪᲘᲛᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ, ვ. ᲑᲐᲭᲠᲐᲫᲔ, კ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, ᲛᲘ. ᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, შ. ᲬᲠᲔᲗᲔᲚᲘ, გ. ᲜᲐᲛᲑᲐᲮᲔᲫᲔ, ნ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ, ვ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ე. ᲩᲘᲠᲩᲘᲚᲘ და სხვები. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ გენერალ-მაიორი დ. კოლესნიკოვი.
ფოტო ᲔᲚ. ᲒᲠᲘᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡᲘ

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ

შენდება რუსთაველ, საბჭოთა საქართველოს სიამაყე.

მენდება ჩვენი მომავლის დამამშვენებელი თვალმარგალიტი, სტალინური ეპოქის დიდების, საქართველოს უმაგალითო აღორძინების მარადიული ძეგლი.

რუსთაველ მშენებლობა თავისი მასშტაბებით, გრანდიოზულობით შორს უსწრებს ყოველივეს ჩვენში ნახულს. ის უმაგალითია საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ჩვენს თვალწინ შენდება, ყალიბდება რუსთაველ, და როგორც ყოველი ახლის წარმოქმნა, ეს მშენებლობაც დაკავშირებულია სიძნელეებთან.

ამ ცოტა ხნის წინათ აქ დაამთავრეს მარტენის ორი ღუმელის კარკასის აწყობა და შეუფარეს ღუმელთა აგურით ამოშენებას, უზარმაზარი კვამლსადენების აღმართვას, მძლავრი სამოწყობო ამწეს დადგმას. მარტენის ღუმელები მზად უნდა ექნეთ სულ რამდენიმე თვის შემდეგ. არ კმარა მარტოოდეს ღუმელთა გამზადება. საჭიროა აუარებელი მოწყობილობის გამართვა, აპარატურის მონტაჟი, დიდძალი სხვა სამუშაოთა შესრულება. დადგმულთანაც და მოწყობილობა მიღებულია, დაწყებულია მათი „რევიზია". რევიზიის მეშონტაჟე ტექნიკოსები უწყდებენ ასაწყობ დადგმულობათა ნაწილების შემოწმებას, მათს შედარებას მოცემულ ნახაზებთან, საკონსერვაციო საცხებთან მათს გაწმენდას, სამონტაჟოდ გამზადებას. ეს იმდენად რთული საქმე როდია, მაგრამ ამ საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ ასაწყობ დადგმულობათა მთელი რიგი ნაწილები, დიდი და პატარა დეტალები, რომელთა გამზადებაც ჩვენში იყო შესაძლებელი, რუსთაველში უნდა ჩამოესხათ.

მარტენის საამქროს დასამონტაჟებლად საჭირო დეტალთა ერთი წყების ჩამოსხმის ხელმძღვანელობა აქ იაბდეს ახალგაზრდა, დაკვირვებულ მეტალურგს, კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელს ფირუზ ნავრუზაშვილს. მან 200 ტონა სადებელ ლითონსხმული მოგვცა, მემონტაჟეებს გადასცა ასეთი დეტალები, რომელთა წონაც ზოგ შემთხვევაში 7 ტონას აჭარბებს, ხოლო ლითონმსხმელებმა იციან, თუ ტექნიკურად რაოდენ ძნელია მრავალტონიანი დეტალების ჩამოსხმა და დაყალიბება. ხარატებმა და მემონტაჟეებმა დეტალების ხარისხი საუკეთესოდ ცნეს, მეტალურგ ფ. ნავრუზაშვილის ბრწყინვალე გამარჯვება აღიარეს.

წარმატებით მიმდინარეობს რუსთაველ საგლინავი საამქროს მშენებლობა და პარალელურად მზადება ამ საამქროს მოსაწყობად. მთავრობამ საჭიროდ ცნო წელს ამუშავდეს რუსთაველ მეტალურგიული გიგანტის საგლინავი საამქრო. საამისოდ პირველ რიგში საჭიროა ბლუმინგის გამართვა. მაგრამ ბლუმინგის დასამონტაჟებლად აუცილებელია სხვადასხვა არასტანდარტული დეტალი, რომელთა კონფიგურაცია განსაზღვრულია სამონტაჟო ადგილის თავისებურობით. გარდა ამისა, მუშაობის პროცესში ბლუმინგის მთელი რიგი დეტალები ცვდებიან, უკარგისნი ხდებიან და საჭიროა მათი სისტემატური შეცვლა. ეს დეტალები უნდა გამოქედონ საუკეთესო მეშენდენმა, რომლებმაც იციან რა არის ბლუმინგი, დაუფლებული არიან ლითონის გლინვის ტექნოლოგიას. ვიწრო პროფესიული კვალიფიკაცია აქ არ კმარა, საჭიროა ფართო ჰორიზონტი, დიდი საწარმოო კულტურა და მაღალი ოსტატობა.

ასეთები ბლომად ყავთ რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-სამეკედლო საამქროში, ხოლო ყველაზე მეტი პოპულარობა მათ შორის მოიპოვა უნარიანმა გურჯაანელმა ჭაბუკმა ნიკო უტიაშვილმა. მან შესანიშნავად აითვისა საბლუმინგე დეტალების გამოეკეთება. 64 ატმოსფერო კი ნიშნავს 64 კილოგრამის სიმძიმით დაწოლას ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე. ეს ისეთი წნევაა, რომლის ქვეშ სპილოც კი ლაჯაშვით გაბრტყელდება.

სიმონ ჯავახიშვილმა ამ ამოცანის შესრულებისას თავისი შესანიშნავი ოსტატობა გამოამეღვნა. ასევე ბრწყინვალე წარმატებით დაამზადა მან დიდდიამეტრიანი საკეტები და ახლა მუშაობს არანაკლები მნიშვნელობის, მაგრამ ერთობ რთული მოწყობილობის გაკეთებაზე, რომლის საშუალებითაც ქვანახშირი ავტომატურად უნდა მიეწოდოს ღუმელს.

მრავლად არიან რუსთაველი ასეთი მოწინავე ადამიანები, შესანიშნავი ოსტატები—ზეინლები, ხარატები, ლითონმსხმელები, ფეხოლიები, მემოდელები, მეტურბინეები, მემონტაჟეები, მეტალურგიული მრეწველობის ყველა პროფესიათა წარმომადგენლები, რომლებმაც მოიპოვეს სპპატიო უფლება შეტანილ იქნან ახალი საქართველოს დიდი მატიანეს ფურცლებზე. ასეთნი არიან ლუკა ნახუცარიშვილი—ელექტროსარემონტო საამქროს ზეინკალი, გივი კუპრიაშვილი — ტურბგენერატორის შემანქანე, მიხეილ მაისურაძე — სარემონტო-მექანიკური საამქროს მოწინავე ზეინკალთა ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელი, მიხეილ ხუციშვილი, რაფიელ გურგენიძე, ვახტანგ ქოსმანაშვილი, ამბროსი მეტრეველი, ვალერიან ქარაია, გიორგი ბასილაშვილი, იპოლიტე ცხადაია და მრავალი სხვანი. რამდენიმე სქელტანიანი წიგნის დაწერა იქნება საჭირო, რომ შეაძლებელი იყოს მათი შრომითი გმირობის, მათი პატრიოტული საქმეების, მათი ოსტატობის დასურათება.

ისინი აღიზარდნენ ჩვენს თვალწინ, ისინი აღიზარდა საბჭოთა საქართველომ და მათგან ხშირად გაიგონებთ საერთოდ რუსთაველში ახლა პოპულარულ გამოთქმას — ჩვენ რუსთაველან ვართ! ჩვენ რუსთაველან ვართ, ე. ი. ჩვენთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, ჩვენ სიძნელეებთან ბრძოლას შეჩვეულნი ვართ, ჩვენ ბოლშევიკებმა გამოგვაწრთეს, უკანდახევა არ ვიცითო.

* * *

ამას წინათ რუსთაველში მომუშავე საუკეთესო სტახანოველთა პირველი მოზრდილი ჯგუფი ინდივიდუალურად საცოვრებელ კოტეჯებში ჩაასახლეს. მათ შორის მშვენიერი სახლი მიიღო იმ დღეებში ცოლშერთულმა სიმონ ჯავახიშვილმა. ჩამოუვიდნენ მას ახლოთდან შვობლები, ახლობლები. ადგილობრივი სტუმრებიც ბლომად იყვნენ — ინჟინერ-ტექნიკოსები, საწარმოთა ხელმძღვანელები, ამხანაგები, მეგობრები. სუფრაზე სიუხვე, ადამიანთა გულებში სიხარული მეფობდა. ქორწილი იყო რუსთაველ ერთ-ერთი პირველი მკვიდრის, ერთ-ერთი ახალგაზრდა მეტალურგის სიმონ ჯავახიშვილის ოჯახში და მოისმოდა შეწყობილი, მოუწყენარი, რაინდული ყახური მელოდია:

— მრავალჟამიერ იცოცხლოს სტალინმა ჩვენმა ბელადმა...

Დ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ

ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

მკაცრი ზამთარი დაეჯირა წელს შირაქში. დეკემბერში მოსული თოვლი თებერვალშიც არ გალხობილა. მიწაზე გაკრულ შემოდგომის ხორბალს ერთი მზე არ უნახავს. დღისით ჯანღი და ქარბუქი იყო, ღამით სუსხი და ყინვა...

უამინდობა საგონებელში აგდებდა მეცხვარეებს შირაქსა და ივრის სანაპიროებზე. ზემოქედში გრძნობდნენ მეცხვარეთა გასაჭირს და შეელოდნენ რითაც შეეძლოთ. თებერვლის შუა-რიცხვებში უამინდობას ატყობინებდნენ შირვანიდანაც, სადაც ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ექვსი ათასი ცხვარი იმყოფება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე ნაცადი ვეკაცია. ის არ დაბეზეულა. ათეულ ტონობით ქერი და კოპტონი მიაშვეკა ცხვარს, რჩეული ვეკაცები გაგზავნა შირვანს.

და იმ დღესაც, როდესაც ჩვენ ზემოქედში ჩავედით, სურსათ-სანოვაგით დატვირთული ათამდე ავტომანქანა და ფურგონი გავიდა შირაქიდან. თექთ, ცხვრის ტყავის ქუდებით და კოხტაჯვრებით გამოწყობილი მთიელები არად აგდებდნენ ქარსა და ყინვას; შირვანსაკენ შეურბოდნენ, სადაც ცხვრის ფერმის გამგე ბასილ კერკალიძე თავისი ბრიგადებით ორ თვეზე მეტია უმკლავდება გაავებულ ზამთარს...

ზემოქედელებს ტრადიციულად მოსდგამთ ცხვრის სიყვარული. ფშავეთი და მთიულეთი, საიდანაც ისინი ამ ოთხიოდე ათეული წლის წინათ ჩამოსახლდნენ, საქვეყნოდ განთქმულია მეცხვარეობით. მერე იყო და აჭაურმა შშრომელმა, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა დააარსეს ზემოქედში კომუნა, მეცხვარეობით აეღორძინეს საკოლმეურნეო სოფელი. გაუჭაობესებული ჯიშის ქართული ცხვრის გამოყვანის პირველი ცდებიც აქ იქნა ჩატარებული.

ამჟამად კი ცხვარი ზემოქედელ კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელი წყაროა. შარშან ამ კოლმეურნეობის ორმეტეთასამი ცხვარი წავიდა ადისტნის მთების საძოვრებზე. მარტო ცხვრიდან ძალიერნაბუნები მანეთის შემოსავალი მიიღეს.

ეს ხვავი და ბარაკი მომავალში რომ უფრო გაიზარდოს, დოლი ორგანიზებულად რომ ჩატარდეს, ცხვრის დიდ ფარას კიდევ რვა ათასი ბატკანი რომ შეემატოს, ამისათვის ისწრაფოდნენ შირვანისაკენ მაშველი კოლმეურნეები...

ბარაქიანად თოვს. მიწას ყინვა უშერს, მაგრამ სოფელი მაინც არ ისვენებს. კოლმეურნეობის კანტორის გადაღმა, ბოსლში მუშა საქონელს უვლიან. ზვინებიდან ურმებით და ფურგონებით ეზიდებიან თივას და ნაჯახს. სახერხ ჭარხანაში ფიქვის ორრებს ხერხავენ, რომლებიც კოლმეურნეთა სახლებს ასაგებად განკუთვნილი. შარშან და წინაწლებში რამდენიმე ათეულმა კოლმეურნემ აიშენა ორსართულიანი სახლი. ძველი ნაგომრების კვალიც არა ჩანს. ხუთსამეტ კომლი, რომელიც ამ კოლმეურნეობაშია გაერთიანებული, ქალაქის ყაიდაზე დასახლებულა. იქვე ახლოს ზეთსახდელი ქარხანა მუშაობს. ამ ქარხნისათვის მზესუმზირის უხვი მოსავლის მოყვანაში თავი გამოიჩინეს მერგოლურმა ქალებმა კატო კერვალიძემ და ნინო ბექაურამ. ჰექტარზე მათ ოცდათხუთ ცენტნერი მზესუმზირა მოიყვანეს. ამ კოლმეურნეობის 34 რგოლმა მიიღო პრემია-წარამატი მზესუმზირას უხვი მოსავლის მიღებისათვის.

უზარმაზარ ბეღლეთან კოლმეურნეები შრომადღეზე კუთვნილ ბარაცელულს იღებენ. რამდენი ათასი ფუთი მარცვლეული ჩაბარეს სახელმწიფოს, რამდენი მისცეს შრომადღეზე კოლმეურნეებს, მაგრამ მაინც, სავსეა ბოსლის, ქერის და სიმინდის ბეღლები!

აი, საწყობის გამგე საბოლოო ანგარიშს უსწორებს ალექსი თამარიულის ოჯახს. მას, ცოლსა და ორ შვილს ათი ათასი კილოგრამი მარცვლეული და თხუთმეტი ათასი მანეთი ფული რგებიათ. ამდენივე ერგო პავლე წიკლაურის ოჯახს.

მთიელები მუდამ გმირობით და მამაცობით იყვნენ განთქმული მთასა და ბარში, მაგრამ უკუღმართი დროება ხშირად ამ ვეკაცსა და ჩაუქ ხალს ძმათა სისხლაც აღვრევინებდა. ახლა კი მთიელებს თავიანთი ძალა და ღონე შრომისაკენ წარუმართავთ, შრომაში შობილან გმირები. სამი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს სტალინს სახელობის კოლმეურნეობას.

ერთი მთაგანი, ყოფილი ბრიგადირი ივანე მელიქიშვილი ამჟამად კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეა. თითხმეტი წლის იყო, როცა ოქტომი ივანე ამ ორი ათეული წლის წინათ დუშეთიდან ზემოქედში ჩავიდა. სოფლის თავკაცებმა შრომაში გაწაფეს იგი, ბრიგადირად დაანიშნეს. მან შარშანწინ თავის ბრიგადაში ჰექტარზე 31 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა და გმირობის სპატიო წოდება მიენიჭა.

კოლმეურნეობის მართველობაც ენერგია და უნარი გამოიჩინა მელიქიშვილმა. ამჟამად, როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირსენ კობაიძე თბილისშია ელექტროსადგურის ახალი ტურბინის ჩამოსატანად, იგი პარტორგანიზაციის მდივანთან შალვა ზურაშვილთან და კოლმეურნეობის ბუხგალტერ სიმონ ჩოხელთან ერთად ენერგიულად უძღვება საქმეს. დანარჩენი ორი გმირი ლადო ხუციშვილი და მათე გოგიშვილი კვლავ ჩვეული ენერგიით განაგრძობენ მეცხენეობის ფერმაში კვიცების გამოზრდას. მათი წყალობით ზემოქედის კოლმეურნეობაში მომრავლდა თუშური ჯიშის ცხენები და ყაბარდოული ულაყები.

შირაქის ველზე როგორც სამი ძმა ისე ერთმანეთს ეხარბნენ ამოსდგომია სამი სოფელი. ზემოქედელებს ძმური შეჯიბრება გაუჩაღებიათ ქვემოქედისა და არხლოს კალოს კოლმეურნეობებთან. გამარჯვება ზემოქედელებს რგებიათ წილად. დიდია ამ გამარჯვებაში კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირების საწყრო ჩოხელისა და მიხა ბეგოიძის, მერგოლური ქალების — მაშო ბექაურის, სონია სისაურის, სონია საღირაშვილის და ნინო ხუციშვილის ამაგი. მათ თავდადებული შრომით შეძლეს მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას მოსავლიანობის გადიდება.

ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სიამაყით გვიჩვენებენ კომუნის დროინდელ ოქმებს, რომლის პირველი ნომერი 1926 წლის 26 იანვრით არის დათარიღებული. მრავალი კარგი საქმე გაკეთა ამ კოლმეურნეობამ შრომასა და ბრძოლაში.... კოლმეურნეობის მრავალი წევრი მამაცურად იბრძოდა ფრონტზე.

ზემოქედის რომელ კუთხეშიც უნდა მოხვდეთ, თქვენს ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს თეთრად შელესილი უზარმაზარი ორსართულიანი შენობა. ეს ზემოქედის კომუნის ყოფილი ცხვრებელი სახლია, რომელშიც ახლა თერმეტწლიანი სკოლაა მოთავსებული და ექვსასზე მეტი ბავშვი სწავლობს.

* * *

საღამოჟამს ზემოქედში ფოსტალიონი მოვიდა. სიხარულით შეეგება სოფელი ფოსტის მოსვლას. პატარა ბექობზე, სადაც ფოსტის ფიცარული შენობაა წამოდგმული, სოფლელებმა მოიყარეს თავი. ზოგი ახალ გაზეთს დაეწაფა, ზოგმაც ბარათებით გაიხარა.

მრავალი ამბის მომსწრეა მოხუცი ფოსტალიონი, ენაწყლიანი, ტაბლმოუბარი. ამიტომაც უყვართ იგი ახალგაზრდებს.

— აბა, გიორგი, მოგვიყევი ერთი ვაჟას ამბავი, — შემოეხვეწენ ირგვლივ ბიჭები. და გიორგიძეც ხალისით დაიწყო თხრობა.

—.... ისეთი სილა გააწნა იმ ბოჭაულს, რომა ყირაზე გადაგაოროა, — დაამთავრა მოხუცმა წარსულის ერთი ამბავის მოყოლა.

... თურმე 1913 წელს მთიელთა ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ვაჟაფშაველა რამდენიმეჯერ ჩასულა ზემოქედში. იმ დროინდელი ხელისუფალნი წინააღმდეგი ყოფილან შირაქში მთიელთა დასახლებისა, მაგრამ საბოლოოდ ვაჟას მაინც თავისი გაუტანია. ამ საქმის თაობაზე ვაჟას ბოქაულთან შეტაკება მოსვლია სწორედ ამ სახლში, ფოსტის ახლანდელ შენობაში, რომელიც იმ დროს სამამასახლისო კანცელარია ყოფილა.

იმ დროიდან მოყოლებული მომრავლებულან აქ მთიელები და შირაქის ველზე ძმური შრომა გაუჩაღებიათ. ხანდახან, როდესაც ჯანღი შეთხელდება, ამ ბექობიდან ხელისგულივით გამოჩნდება ალაზნის გაშლილი ველი და დაღისტნის მთები, ძველი ბოლშევიკი სიმონ ჩოხელი ხელს იშვერს ალაზნის გაღმა ზაქათალოსაკენ და გეუბნება:

— აი, აქედან მოვიდნენ 1921 წელს წითელი არმიის რაზმები, რომელთაც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიეს მენშევიკების ბატონობის დამხობაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. წითელი არმიის ამ რაზმებს უშიშარი რევოლუციონერი ივანე კურიშკო მოუძღოდა. იგი მენშევიკებთან შეტაკების დროს მამაცურად დაეცა, მაგრამ მალე მენშევიკების თარეშსაც ბოლო მოეღო. ხალხმა არ დაიიწყა მისი თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი და წითელწყაროში ივანე კურიშკოს ძეგლი აღმართა...

ვაჟას დიდი ხნის ნოსტალგიური განხორციელდა. თავისუფლად ამოისუნთქეს შირაქში მთიელებმა.

იმ დღიდან დღეგრძელობს და წინ მიდის ზემოქედი.

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐ

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 31-ე წლისთავის დღესასწაული საზღვარგარეთ

პრაღა, 23 თებერვალი. (საგდუნი). ჩეხოსლოვაკიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 31-ე წლისთავს.

საბჭოთა არმიის, ჩვენი განმათავისუფლებელი არმიის სახით, — წერს გაზეთ „რუდე პრავოში" ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სეფობოდა, — ჩვენ ვხედავთ რეგოლუციური და განმათავისუფლებელი არმიის ნიშნებს. ამიტომ საბჭოთა არმია, რომელიც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე დგას, არის მაგალითი ჩვენი სახალხო-დემოკრატიული არმიის მშენებლობაში.

გაზეთი „პრაღა" აღნიშნავს უდიდეს ისტორიულ დამსახურებას საბჭოთა არმიისას, რომელმაც ევროპის ხალხები იხსნა ჰიტლერული დამონებისაგან და ევროპის ათობით მილიონ მშრომელს აკლავ მაანბეი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ვარშავა, 23 თებერვალი. (საგდუნი). პოლონეთის ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავის დღესასწაულის შესახებ.

დღეს ქალაქებისა და სოფლების ქუჩები მოირთო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ეროვნული ალმებით.

საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი მოეწყო პოზნანის, ვროცლავის, სოლუსკო-დოლმროვის, ოლშტინის, ალეკეთვის ლეტლინის, კრაკოვისა და სხვა სავაჟეოდოებში.

წლისთავთან დაკავშირებით, პოლონეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა მარშალმა ეთმერსკიმ გამოსცა ბრძანება, რომელშიც მათქვამია: „საბჭოთა კავშირმა და მისმა არმიამ ხალხები გაათავისუფლეს ფაშისტური უღლისაგან, ევროპის დაჩაგრულ ხალხებს მოუტანეს თავისუფლება და შვიდობისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, მათ შორის ჩვენს სამშობლოსაც, მისცეს შესაძლებლობა დადგომოდნენ თავისუფალი პროგრესის გზას...

სახალხო პოლონეთი საბჭოთა კავშირსა და მის შეიარაღებულ ძალებს უმადლის ჰიტლერული მონობისაგან განთავისუფლებას, სამშობლოს დამოუკიდებლობას, საზღვრების ოფერსა და ნოისზე, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომავლის შენებლობის შესაძლებლობას, სოციალური სამართლიანობის ყოფილების დამყარებას. მხოლოდ საბჭოთა არმიის დახმარების მეოხებით შეეძლოთ შეგვექმნა ახალი ალორძინებული პოლონეთის ჯარი, რომელიც შშრომელთა მასების ემსახურება".

ბუქარესტი, 23 თებერვალი. (საგდუნი). ბუქარესტის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას თავავეს დღეს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიებს.

სადღესასწაულო თარიღთან დაკავშირებით ბუქარესტის შენობები გულნდელი დღიდან მოირთო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

გუშინ საღამოს დარბაზში „ატანეულ რუმინეთი" რუმინეთის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის თანადასწრებით ბუქარესტის ბარნნზონის ჯარის ნაწილების ორკესტრიტმა საბჭოთა არმიის პატივსაცემად დიდი კონცერტი გამართეს.

„ეფიკი სინდიკალი" ეუწყება, რომ საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავთან დაკავშირებით „არლესული" ორგანიზაციებმა დედაქალაქის საწარმოებსა და ყველა დაწესებულებაში მოაწყეს სახელმი სალმიები მოხსენებებთა და მპატერული თვითმოქმედების წრეებმა გამოსცადეთ.

ბუდაპეშტი, 23 თებერვალი. (საგდუნი). უნგრეული ხალხი ფართოდ აღნიშნავს: საბჭოთა შეიარაღებული ძალების 31-ე წლისთავს. გუშინ და დღეს მთელ უნგრეთში შედგა სახეიმო კრებები, მოეწყო ლექციები და მოხსენებანი და გაიხსნა საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი არმიისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ბუდაპეშტის საქალაქო თეატრში გუშინ შემდგარ სახეიმო სხდომას, რომელიც უნგრეთის არმიამ და სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ მოაწყეს, 2,5 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. თეატრის დარბაზში იყვნენ: რუსუბლიკის პრეზიდენტი საკაშინი, პრემიერ-მინისტრი დობი, თავდაცვის მინისტრი ფარკაში და მთავრობისა და პარლამენტის სხვა წევრები, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები და სხვები.

საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი მოხსენება გააკეთა გენერალ-ლეიტენანტმა ბოგრიგიმ.

ბუდაპეშტი, 23 თებერვალი. (საგდუნი). დღეს დღისით ბუდაპეშტში, იმ საბჭოთა მეომრების ძეგლებთან, რომლებიც დაეცნენ უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა.

საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელმა მოღაეუეებმა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ საზეიმო ეთარებაში გვერგვნენით შეამეკეს საბჭოთა მეომრების ძეგლი, რომელიც აღმართულია ამ მოედანზე.

საბჭოთა მეომრების ძეგლები გვერგნენით შეამკეს ადგილეთ უნგრეთის მთელ რიგ პროვინციულ ქალაქებში.

ტირანა, 23 თებერვალი. (საგდუნი). როგორც ალბანეთის ფეიმშოთა საგაენო გადმოგცეცმა, გუშინ შედგა ალბანეთის სახალხო კრების საგანგებო სხდომა წითელი არმიის 31-ე წლისთავის აღსანიშნავად. ეენერალ-მაიორმა მემეტ-ჩოხეუმ ამის გამო სიტყვა წარმოთქვა.

ამავე დღეს ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ მოაწყო საზეიმო სხდომა საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავთან დაკავშირებით.

სიტყვა წარმოთქვა ეროვნული არმიის ენერალურმა შტაბის უფროსმა ენერალ-მაიორმა ვალეკუემ, რის შემდეგაც საბჭოთა არმიის მიესალნენ ალბანეთის არმიის, მუშების, ახალგაზრდობისა და ქალების დელეგაციები.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ენერალისიმუს ი. ბ. სტალინს.

საბჭოთა არმიის შეკრნის 31-ე წლისთავთან დაკავშირებით ალბანეთისა და სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოიგარი შენობის პარკში გუშინ მოეწყო ენერალისიმუს ი. ბ. სტალინის ბიუსტის დადგმა ცერემონია; ბიუსტი შეამოკეთა ალბანეთის მოქანდაკემ ლაზარე ნიკოლამ.

ვენა, 23 თებერვალი. (საგდუნი). საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ენერალ-ლეიტენანტ ალექსეი სოლატოვმა დარბაზობა გამართა. დარბაზობას დაესწრნენ ავსტრიის პრეზიდენტი რენერი, ავსტრიის მთავრობის წევრები და სხვები.

ვენის ბევრ საწარმოში მოეწყო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სიბრძოლეს ისტორიისადმი მიძღვნილი მოხსენებანი. საბჭოთა კავშირთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის საზოგადოებამ ვენაში კინოგრაფის სასახლეში დიდი სალამი მოაწყო.

ოსლო, 23 თებერვალი. (საგდუნი). საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავის გამო საბჭოთა საელჩოში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ სტორტინგის თავმჯდომარე ნატეგ ბედეროსი, სტორტინგთა დელეგატები, მთავრობის წევრები, ენერალელეტები და სხვ.

ჰელსინკი, 23 თებერვალი. (საგდუნი). საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშე ფინეთში ტოკარევმა საბჭოთა არმიის 31-ე წლისთავის აღსანიშნავად დარბაზობა გამართა. დარბაზობას დაესწრნენ სეიმის თავმჯდომარე კეკონენი, საგარო საქმეთა მინისტრი ენეკეი, ენერალი სიხეო და სხვები.

„დეილი უორკერი" ბევინის შესაძლო გადადგომის შესახებ

ლონდონი, 23 თებერვალი. (საგდუნი). „დეილი უორკერის" პოლიტიკური მიმოხილველი ეუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ბევინის შესაძლო გადადგომას შეუფარდებენ მთავრობის ფართო რეორგანიზაციას, რაც განზრახულია ამა წლის ზაფხულისთვის. მიმოხილველის აზრით, განცხადება ამის შესახებ შეიძლება გაკეთებულ იქნეს, როცა ატლანტიკის პაქტი დადგება ან როცა ბევრი დაბოხუდება ეკონომიდან, სადაც ის მოპაწოლოს ბევინს ინპერიის წარმომადგენელთა თათბირზე წყნარი ოკეანის რაიონში ანალოგიური კავშირის დადების საკითხზე.

შემდეგ მიმოხილველი წერს: „თუმც გადაწყვეტილება ბევინის გადაყენების შესახებ მიღებულ იქნა კბინეტის ერთ-ერთ მოეწვიე სხდომაზე პალესტინის კრიზისის დროს დეკემბერში, რამდენადაც ეს ეიკი, ამა ნება მიეცემა ამგვარად მოშორდეს ასპარეზს. ამ ბოლო დროს ცნობები გამოქვეყნდა, თითქოს ბევინი ავად არის, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის მისი გადაყენების ნამდვილი მიზეზი. ბევინი სასარგებლო ალარ არის, და მისი ეზეში მეთოდები ახლა ძმიმე მდგომარეობაში აყენებს ომის გამარჯვებულებს".

მიმოხილველი აცხადებს, რომ ახლა საჭიროა უფრო მოხერხებული ადამიანები, უმჯობესია ისეთები, რომლებიც „მეპარიტენთა" რეპუტაციით სარგებლობენ.

პაპკარიგასის სიკვდილი მკვლელობის აქმი

გუჟარესტი, 23 თებერვალი. (საგდუნი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის ენერალურმა კონფედერაციამ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას გაუგზავნა ეეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს არ ეკერთ ათენის მთავრობა ვერსია, თითქოს პაპარიგასმა თავი მოიკლა.

„რუმინეთის მშრომელები დარწმუნებული არიან, — აცხადება კონფედერაცია, — რომ ამ საქმის გეულდასმით გამოკვლევა მთელ მსოფლიოს დაანახებენს, რომ სპეციალურად ჩაგეანილი კიდეე ერთი ტკვლეობა მეიმატა მონარქისტ-ფაშისტს ხელისეფალთა დანაშაულობის დაფარულებელ რიცხვზ".

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი. (საგდუნი). დემოკრატიული საბერნენთისათვის ბრძოლის ამერიკის საბჭომ ეეპეშეში გაუგზავნა ტრუმენსა და ჰაეესს. ეეპეშეშში საბერძნეთის შრომის კონფედერაციის ენერალური მდივნის პაპარიგასის სიკვდილი შეფასებულია, როგორც ათენის მეფის მთავრობის მიერ ჩადენილი მკვლელობის აქტი. ეეპეშეშში აღნიშნულია, რომ შარშან ივლისში საბჭო ფერხილდა ამერიკელ თანამეშეობის პირი, რომ ათენის მთავრობა აპირებდა თვითმკვლელობის სახით მოეწყო ეს მკვლელობა.

საბჭო მოითხოვს, რომ ტრუმენმა და ჰაეესმა მიაღწონ „მორიგ მსხვერპლთა"—პროფკავშირული ლიდერების ამბატელოსს, ბეკალოსის და ცხრა სხვა პროფკავშირული მოღვაწეს განთავისუფლებას.

საბჭომ. წერილი გაუგზავნა ბერძნეთის ენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს ეეატს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ენერალურ მდივანს ტრიგვეე ლის და შრომის საერთაშორისო ბიუროს და პროტესტი გამოთქვა „ათენის მთავრობის მიერ მოწყობილი მკვლელობის წინააღმდეგ".

ენერალ-ლეიტენანტ ლუკიანჩენკოს განცხადება

ბერლინი, 22 თებერვალი. (საგდუნი). გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის შტაბის უფროსმა ენერალ-ლეიტენანტმა ლუკიანჩენკომ შემდეგი განცხადები გადასცა პრესას წარმომადგენლებმა:

„დასავლეთია გაზეთებში ამას წინათ ცნობა გამოქვეყნდა, თითქოს ამერიკის სარდლობამ, გამოსცა ბრძანება, რომ 1949 წლის 1 მარტიდან საბჭოთა სარეპარაციოი მისიამ შეწყვიტოს შეშობა და დატოვოს გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონა. საბჭოთა სარდლობამ არ იცის, შეესაბამება თუ არა ეს ცნობა სინამდვილეს, მაგრამ აცხადებს, რომ ასეთი ბრძანება უკანონო მოქმედება იქნება, რომელიც ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საერთაშორისო ვალდებულებებს ადგილადანაკეთებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ, რომელიც ომისა და ფაშიზმს ხელისუფალთა ძალადობის შედეგად ძალდებით აღმოჩნდნენ თავიანთი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და სსრ კავშირის მთავრობას შორის 1945 წლის 11 თებერვალს დიდი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთ ადგილადანაკეთებულ პირთა ამერიკელ ოფიცრებს ეკისრებოდა ვალდებულება ადგილადანაკეთებულ პირთა ეროვნულ ენაზე ინსინდეოლეს, ეროვნულ ენაზე ინსინდეოლეს, ეროვნულ ენაზე ინსინდეოლეს,